შვედეთს, საქართველოს და ევროპარლამენტს
გაეროს, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის და ადამიანის უფლებათა დაცვის სტრუქტურებს
ალფრედ ნობელის სახელობის ფონდის ადმინისტრაციას
მსოფლიოს საზოგადოებას

გთხოვთ განიხილოთ ექსპრეს ბიულეტენი №56, რომელიც შეეხება სამეცნიერო ნაშრომზე -წიგნზე ,,სიახლეების დანერგვა წარმოების სრულყოფისა და ეფექტიანობის ასამაღლებლად" ექსპერტიზის დასკვნის მოუცემლობის საკითხს.

მიღებულ გადაწყვეტილებაზე გვაცნობეთ

პატვისცემით, აკადემიკოსი ლ. ჩაჩიაბაია

ექსპრესს ბიულეტინი №56
სამეცნიერო საწარმოო

ვაქვეყნებთ, ტექნიკის, ტექნოლოგიის, ეკონომიკის, სამართლის საექსპერტო საბჭოს სხდომის, განხილვის ოქმის ამონაწერს. 09/03/2016 წლის №1/3, ავტორი აკადემიკოსი ლერი ჩაჩიბაიას სამეცნიერო ნაშრომზე წიგნზე „სიახლეების დანერგვა წარმოების სრულყოფისა და ეფექტიანობის ასამაღლებლად", ექსპერტიზის დასკვნის მოუცემლობაზე ალფრედ ნობელის სახელობის ფონდში.

მოისმინეს ინფორმაცია: შპს ტექნიკის, ტექნოლოგიის, ეკონომიკის, მართვის პრობლემების დანერგვის სამეცნიერო ცენტრის დირექტორის აკადემიკოსი ლ. ჩაჩიბაიას დამუშავებული სიახლეების დანერგვისა და ექსპერტიზის დასკვნის მოუცემლობის საკითხი.

**პრობლემატიკა** ითვალისწინებს ტექნიკური პროგრესის პირობებში ეკოლოგიურად სუფთა კონკურენტუნარიანი პროდუქციის მიღებას საკვებად და სამკურნალოდ მინიმალური მატერიალური და შრომითი დანახარჯებით ასევე დემოკრატიის პირობებში სახელმწიფოს რეგიონალური პრობლემების მართვის სრულყოფის საკითხებს - მშვიდობის შესანარჩუნებლად.

ადამიანის არსებობა სიცოცხლე უშუალოდ დაკავშირებულია კვებისა და ჯანმრთელობის ფაქტორებთან. ეს „ბაზისი" ყველა ფორმაციაში უცვლელი რჩება ისინი ერმანეთს განაპირობებენ. რაც მზად მოთხოვნას უყენებს ბუნებრივი რესურსების ათვისებას წარმოების დონის ამაღლებას საწარმოო საშუალებების რაციონალურად გამოყენება დარგთა სწორ შეთანაწყობას, სპეციალიზაციის და კონცენტრაციის დონის ამაღლებას, მუშახელის რაციონალურად გამოყენებას და სხვა რაც ინტელექტუალური შემოქმედებით, ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიის, დანერგვით უნდა განხორციელდეს და ა.შ.

ფიზიოლოგიური ნორმის მიხედვით მსოფლიოს მოსახლეობის 7,3 მილიარდი რომ დაკმაყოფილდეს კვების პროდუქტებით ყოველწლიურად საჭიროა $7x10^{15}$კგ - კალორია საკვები ამ მიზნით საჭიროა ვაწარმოოთ ხორცი $569x10^{9}$კგ კალორია, რძე $1x10^{15}$ კგ კალორია, კვერცხი $2x10^{12}$ ცალი, კარტოფილი $708x10^{9}$კგ კალორია, თევზი $131x10^{9}$ კგ კალორია, მცენარეული ზეთი $51x10^{9}$ კგ, კალორია. პურ პროდუქტები $883x10^{9}$ კგ კალორია, ხოლო ბაღჩეული, ბოსტნეული $1x10^{12}$კგ. კალორია შაქარი $131x10^{9}$ კგ. კალორია. ამ მიზნით საჭიროა წარმოების დონის ამაღლება მოხდეს 35%-ით. რაც მეტად რთული პროცესია.

**პრობლემის გადაწყვეტის საშუალებები:**

ბუნება იძლევა მდიდარ ნედლეულს, მეტად მნიშვნელოვანია გადამუშავების დროს მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების, ვიტამინების, მიკრო ელემენტების და სხვა ნივთიერებების შენარჩუნება, რაც 40%-მდე აღემატება, ეს ფაქტორი (დანაკარგები) უარყოფითად აისახება ადამიანის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე - ენერგეტიკულ ბალანსზე. საკითხი ასევე შეეხება მეცხოველეობის წინაშედასმულ პრობლემებს, საკვები ბაზით უზრუნველყოფას პროდუქციის წარმოებისთვის . ამ მიზნით საჭიროა დაინერგოს წარმოებაში:

1. თერმული გადამუშავების გარეშე მცენარის ფესვი, ღერო, ფოთოლი და ნაყოფიდან მიღებული საკვები და სამკურნალო ექსტრაქტები რომლებიც ინახება ოთახის პირობებში 14 თვეს, გამოიყენება (1993 წლიდან). ჩიყვის, ფსორიაზის, ეგზემის, დერმატიტის, სიმსივნის, ტუბერკულიოზის, გული-სისხლძარღვთა და საჭმლის მომნელებელი სისტემის, ჰეპატიტის, უმადობის, პირის სიმშრალის, ღრძილების, ანემიის, სარძევე ჯირკვლის, კვანძების შეშუპების, ადენომის,

ათეროსკლეროზის, სახსრებში სიცივის შეგრძნების, ნივთიერებათა ცვლის, დიაბეტის, სოკოვანი დაავადებების, - ყურის, ფრჩხილების, მხედველობის გასაუმჯობესებლად, კანის დაჟეჟილობისა და ძვლოვანი ქსოვილის აღსადგენად, მაღალი ტემპერატურის დასაწევად, ჭიების, ქავილის, ხელ-ფეხის დაბუჟების, ძალის მოსამატებლად, სასქესო ორგანოების ანთებითი პროცესების სამკურნალოდ, აღნიშნული ექსტრაქტებით მკურნალობის ხანგრძლივობა საშუალოდ 2-3 თვეს არ აღემატება, მაშინ როდესაც კლასიკური მეთოდებით მკურნალობას უფრო დიდი დრო სჭირდება.

ზემოაღნიშნულ დაავადებათა სამკურნალოდ საშუალოდ საკმარისია 150-200 დოლარი, რაც თითქმის 2-3 ჯერ ნაკლებია არსებული სამკურნალო საშუალებებთან შედარებით, მიუხედავად შემთხვევით არასწორი გამოყებისას უკუჩვენებები არ აღენიშნება, რაც მეტად მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევა (ათვისებას მოითხოვს ჰერპესის და ებოლას მკურნალობის საკითხები). ზემოაღნიშნული დაავადებების მკურნალობა მიუთითებს ექსტრაქტის მაღალ ეფექტურობაზე კომპლექსურად მის გამოყენებაზე, რადგან აღნიშნული დაავადებების მკურნალობა ერთმანეთთან არის დაკავშირებული. **უნდა აღინიშნოს, რომ მცენარის ექსტრაქტში არსებული შემადგენლობები 60-65%-ით ემთხვევა ადამიანის ორგანიზმში არსებულ შემადგენლობებს, რაც მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უნდა შეიცვალოს მიდგომა მედიცინაში მკურნალობის ახალ მეთოდებზე გადასვლასთან დაკავშირებით.**

ვეტერინარიაში მეტად მნიშვნელოვანია სამკურნალო ექსტრაქტების გამოყენება საჭმლის მომნებელი სისტემის, კანის, ანთებითი პროცესების, ინფექციური დაავადებების, მოწამვლების და სხვა. რაც შეეხება მეცხოველეობაში საკვები ექსტრაქტების გამოყენებას ზამთრის პირობებში მწვანე მასისა, მარცვლოვანი და პარკოსანი მცენარეების შენარჩუნების მიზნით თუნდაც 0,2 საკვებ ერთეულის გათვალისწინებით გავზრდით მეცხოველეობის პროდუქციას 35%-ით. ექსტრაქტში მიკრო ელემენტების შეტანით ეფექტიანობა იზრდება ინფექციური დაავადებების მიმართ (ინახება 2 წელზე მეტ დროს) მკურნალობისას.

თუ პირობითად საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე იხარჯება 196 დოლარი მკურნალობაზე, მაშინ მსოფლიოში მოსახლეობის 7,3 მილიარდის მკურნალობაზე საჭირო იქნება $1,4x10^{12}$ დოლარი. აღნიშნული ექსტრაქტის გამოყენებისას 12%-ი ეკონომიის პირობებში მთლიანი ეკონომიკური ეფექტი 17,1 მილიარდი დოლარი იქნება. საწარმოო საშუალებების არსებული მედიკამენტების, მატერიალური და შრომითი დანახარჯების გათვალისწინებით და ა.შ. (მეცხოველეობის დარგში მისი გამოყენების გარეშე). თითქმის ყველა საკითხი ეკონომიკური დასაბუთება 1,5 – 2-ჯერ ნაკლებად არის წარმოდგენილი.

2. საკვები და სამკურნალო ექსტრაქტების გამოყენება, უალკოჰოლო და ალკოჰოლიანი სასმელების წარმოებაში მეტად მნიშვნელოვანია, რომელიც გამოიყენება 1993 წლიდან და ინახება ოთახის პირობებში 14 თვეს, ზამთრის პირობებში ბაღჩეული ბოსტნეული, ხილის, ყურძენის, გარეული მცენარეების ნაყოფის შესანახად.

ალკოჰოლიანი სასმელების მისაღებად მნიშვნელოვანია სპირტის მიღების ახალი ტექნოლოგია, სადაც ენერგო რესურსებად გამოიყენება ყველა სახის ნედლეული კონსტრუქცია გადაადგილებადია, მინიმუმადეა დაყვანილი სპირტის გადამუშავების დროს დანაკარგები, რაც ხელს შეუწყობს ფერმერული მეურნეობების განვითარებას ეკონომიკური ეფექტი 1 ლიტრი სპირტის მიღების პირობებში 35%-ით განისაზღვრება. მეტად დადებითი შეფასებას ღებულობს საკვები ექსტრაქტების გამოყენება ლუდის წარმოებაში, ასევე სხვადასხვა მშრალი სასმელების მისაღებად, რომელსაც პერსპექტივაში ალტერნატივა არ გააჩნია. 59 სახელმწიფოს მაჩვენებლების პირობებში ყოველწლიურად 300 მილიონი ტონა ექსტრაქტის გადამუშავებით საწარმოო ფართის ენერგო რესურსების, ტრანსპორტის, მუშახელის სახელფასო და სხვა დანახარჯების ეკონომია წელიწადში შეადგენს 186 მილიონ დოლარს. ახალი ტექნოლოგიით სპირტის მიღების გათვალისწინებით.

3. ხშირია შემთხვევები, როდესაც ტრამვირების მკურნალობის შედეგად წლების განმავლობაში ვერ ხერხდება რკინების ამოღება პაციენტის ორგანიზმიდან, რაც უარყოფითად აისახება მის ჯამრთელობაზე. მსოფლიოში თუნდაც 1%-ით მისი გამოყენებისას ეკონომიკური ეფექტი ორი ოპერაციის მაჩვენებლების მიხედვით 227 მილიონ დოლარს აღემატება წელიწადში. ეს საკითხი შეეხება ტრამვირების პირობებში ინტენსიური სამკურნალო მოსასხამის გამოყენებას, სადაც რკინის გარეშე ხდება მთლიანად ორგანიზმის და ცალკეული ორგანოების ფიქსირება მკურნალობისათვის.

4. ახალი ტექნოლოგიით მაწვნისა და ყველის მიღება, სადაც მაწვნის და ყველის მიღება ხდება ერთი დედოთი, რომელიც ინახება ოთახის პირობებში 11 თვეს, მაწვნის მისაღებად რძეს არ სჭირდება ადუღება და მაცივარში შენახვა 8-10 დღე. მიიღება არომატული პროდუქცია, რომელიც დადებითად მოქმედებს საჭმლის მომნელებელ და ნერვულ სისტემაზე და სხვა. ყველის ამოღების შედეგად მიღებული წათხი 2 თვეს ინახება ოთახის პირობებში, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს საფუარების სანაცვლოდ პურის ცხობისას (მაწვნის გამოყენებას საქართველოში ანტიკური ხანიდან ახდენდნენ). სამაცივრო დანადგარების, საწარმოო ფართის, ენერგო რესურსების, ეკონომიის შედეგად ეფექტი 76 მილიონ დოლარს აღემატება ენერგორესურსების, სამაცივრო დანადგარების, შრომითი დანახარჯების ეკონომიის გათვალისწინებით (59 სახელმწიფოს მაჩვენებლების მიხედვით ყოველწლიურად) რაც ხელს შეუწყობს ფერმერული მეურნეობის განვითარებას რეგიონებში.

5. გრეხვის გარეშე ჩაის ბუნებრივი შრობის შედეგად ახალი ტექნოლოგია ითვალისწინებს გრეხვის, ფერმენტაციის, ხელოვნური შრობის ამოღებას, რის შედეგადაც ვღებულობთ შავ-ნარინჯოვანი ფერის არომატულ ნაყენს, რაც არცერთი სახეობის ჩაისათვის არ არის დამახასიათებელი. ექსტრაქტული ნივთიერება 48%-ით განისაზღვრება, ტანინი კი 9%-ით. მეტად მნიშვნელოვანია სამკურნალო ექსტრაქტების გამოყენება ფსორიაზის, ეგზემის, გულ-სისხლძარღვთა და ნერვული სისტემის სამკურნალოდ და სხვა. კვების პროდუქტად მისი გამოყენებით ეკონომიკური ეფექტიანობა 86 მილიონ დოლარს აღემატება მკურნალობის გათვალისწინების გარეშე ყოველწლიურად . მეტად მნიშვნელოვანია თერმიული გადამუშავების გარეშე ჩაისა და სამკურნალო ნაყენების მიღება, რომელიც ინახება ოთახის პირობებში 11 თვეს.

6. პურის ცხობის ახალი ტექნოლოგია - სადაც ნამწვი გაზი არ ხვდება ცხობის ზონას, საწვავად გამოიყენება ყველა სახის ენერგო რესურსები ნაგებობა ძირითადად თიხისგანაა. ვღებულობთ ცხელ წყალსაც. ხუთ სართულად ხდება პურის ცხობა კომპლექსური მექანიზაციით მისი გამოყენება მეტად მნიშვნელოვანია საკონსერვო წარმოებაში ხორცისა და ყველის შებოლვა-დავიჩინების გათვალისწინებით. კონსტრუქცია გადაადგილებადია. ეკონომიკური ეფექტი 244 მილიონს აღემატება ყოველწლიურად (59 სახელმწიფოს მაჩვენებლების მიხედვით). საწარმოო ფართის ენერგო რესურსების, მომსახურე პერსონალის და სხვა გათვალისწინებით. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ მეტად მნიშვნელოვანია სამკურნალო პურის ახალი ტექნოლოგიით დანერგვა, რომელიც მიიღება მარცვლოვანი და პარკოსანი მცენარეების 6 სახეობისაგან, ხასიათდება მაღალი არომატულობით და დიდი ხნის სირბილის შენარჩუნებით (2-3 დღე).

7. პირუტყვისა და მხეცების გადასაყვანი მოძრავ სართულებიანი სპე-ციალიზირებული, ნახევრად მისაბმელი ფურგონი და ვაგონ-კონტეინერი ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებებით, რომლის საცდელი ნიმუშები აპრობირებულია რეკომენდირებულია ის ტრასეკას პროექტში დასანერგად, სადაც სამი-ოთხი სართულით ხდება პირუტყვის ტრანსპორტირება. დაახლოებით პირუტყვის მთლიანი სულადობის 26% მოდის რკინიგზის ტრანსპორტზე , ხოლო 44% ავტომობილის ტრანსპორტზე. მეტად მნიშვნელოვანია ზამთრისა და ზაფხულის საძოვრებზე, ასევე ხორცკომბინატებში წონამატის შენარჩუნების მიზნით პირუტყვის ტრანსპორტირება სატრანსპორტო საშუალებებით. ნახევრად მისაბმელ ფურგონში ბორბლებს შორის 98 სმ სართულის მოთავსებით და მე-3 მოძრავი სართულის აწევით ნახევრად მისაბმელი ფურგონის ეფექტიანობა 60%-ით იზრდება. პარამეტრები: 11x4,5x2,5 მეტრი, სამივე სართულში გათვალისწინებულია დაწყურება, კვება, ნივთიერებათა ცვლა. ასევე ვაგონ-კონტეინერში. ეკონომიკური ეფექტიანობა 2-ვე სახეობის სატრანსპორტო საშუალებებში, საწვავის, ელექტრო ენერგიის, მარაგი ნაწილების დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების წონამატის შენარჩუნების გათვალისწინებით და სხვა შეადგენს 46,8 მილიონ დოლარს აღემატება ყოველწლიურად (59 სახელმწიფოს მაჩვენებლების მიხედვით).

8. ახალი ბიბლიოთეკის დაგეგმარება საცავიდან მკითხველამდე წიგნის მიწოდება კომპლექსური მექანიზაციით - ავტომატიზაციით, ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, მეტად მნიშვნელოვანია მართვის სრულყოფის მიზნით რაც დადებითად აისახება ინტელექტუალური შემოქმედების ხარისხზე. მინიმალური გაანგარიშებით 45 პერსონალის გამონთავისუფლებით ეკონომიკური ეფექტი შეადგენს წელიწადში 7,2 მილიონ დოლარს ერთ ობიექტზე, ასევე სხვა სახის მატერიალური დანახარჯების გათვალისწინებით არსებულ ნაგებობასთან შედარებით. რის შედეგადაც უმჯობესდება მართვის, სანიტარული ჰიგიენური ნორმების დაცვა საცავში და სხვა.

მეტად მნიშვნელოვანია სამრეწველო ქალაქების მოსახლეობის დაკმაყოფილების მიზნით ნაკლებად შრომა ტევადი დარგის მეფრინველეობის კომპლექსების დაგეგმარება ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, რაც პერსპექტივაში ნებისმიერი რეგიონის მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს. აღნიშნული კომპლექსების დაგეგმარების სქემა ინფრასტრუქტურით რეკომენდირებულია სამეცნიერო ნაშრომის მიხედვით წიგნი, სიახლეების დანერგვა წარმოების სრულყოფისა და ეფექტიანობის ასამაღლებლად. იხ. გვ. 160-162. ავტორი ლ. ჩაჩიბაია. ზემო აღნიშნული და სხვა ტექნოლოგიების დანერგვა მთლიანად აისახება გლობალიზაციის პრობლემების მაჩვენებლებზე: 1. ენერგო რესურსების ეკონომიაზე. 2. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღებაზე. 3. ბუნებაზე-ეკოლოგიაზე. რაც მეტად მნიშვნელოვანია დღევანდელი მოთხოვნებიდან გამომდინარე. ბუნებრივია წარმოების სრულყოფის საკითხები მეტად რთულია რეგიონების გათვალისწინებით, ის მოითხოვს ცალკეულ რეგიონების ბუნებრივი პირობების შესწავლას ახალი ტექნოლოგიების დასანერგად. გამოსავალი წარმოების დონის ამაღლებაში უნდა ვეძიოთ. ეკონომიკური ეფექტიანობის განხილვისას საკითხის გამარტივების მიზნით არ იქნა განხილული დასამზადებელი მოწყობილობების ეკონომიკური მაჩვენებლები და სხვა საკითხები რადგან მისი სარეალიაციო ფასები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ისინი გადანაწილდა საერთო ჯამში მიღებულ მაჩვენებლებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიის, მართვის საკითხების დანერგვა გარკვეულ გავლენას ახდენს გამოშვებული პროდუქციის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, რომელიც სხვა საკითხებთან ერთან არ იქნა განხილული ეკონომიკური ეფექტიანობის გაანალიზებისას. ზემო აღნიშნული სიახლეების დანერგვით მსოფლიოში პროდუქციის წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლები 30%-ით გაიზრდება.

## სახელმწიფოს მმართვის სრულყოფის საკითხები

ნებისმიერი ფორმაციისთვის აუცილებელია საზოგადოების კონსოლიდაცია და არა დაპირისპირება, როდესაც საზოგადოება ირჩევს მმართველობის ორგანოებს მას უნდა დარჩეს სახელმწიფოს კონტროლის ფუნქცია რაღაცა ფორმით, რომ თავიდან ავიცილოთ დაუმთავრებელი დაპირისპირებები, რაც უარყოფითად აისახება საზოგადოების მიმდინარე პროცესებზე. დაპირისპირება მეტწილად მართვის სისტემების სისუსტეზე მიუთითებს.

საჭიროა მოხდეს საზოგადოების კონსოლიდაცია, სადაც გაერთიანდება პოლიტიკური პარტიები, ომისა და შრომის ვეტერანები, ახალგაზრდები, არასამთავრობო სტრუქტურები, რელიგიის წარმომადგენლები და სხვა. მათი წარმომადგენლობა არჩევით ორგანოებში 50%-ით უნდა განისაზღვროს.

აღმასრულებელი, საკანონმდებლო და საზოგადოების ერთიანი სახით წარმოდგენა ხელს შეუწყობს მართვის სრულყოფას. მართვის სისტემის ავტონომიებად დაყოფამ ქვეყანა ამ მდგომარეობამდე მიიყვანა. საზოგადოებას უნდა გადაეცეს მაკონტროლებელი ორგანოების ფუნქციები. რადგან სახელმწიფო არ იქნება საზოგადოების გარეშე, საზოგადოება არ იქნება ეკონომიკის, მართვის, რელიგიის, ტერიტორიის გარეშე და ა.შ. რომ ჩამოყალიბდეს რეგიონალურ ჭრილში ერთიანი

მართვის სისტემა - ავტონომია ის უნდა იქნეს შესწავლილი ცალკეულ ელემენტებად რეგიონის პრიორიტეტების გათვალისწინებით.

კონსოლიდაციის ამოსავალი წერტილი იქნება, რომ პიროვნებამ არჩევით ორგანოებში დაიკავოს ღირსეული ადგილი თავისი ღირებულებების შესაბამისად. საზოგადოების ერთიანი „ფონის“ შექმნა ხელს შეუწყობს წინასწარ მიზანმიმართულად შევარჩიოთ კადრები თავისი შემოქმედების მიხედვით და არა ისე, რომ რის შედეგს დიდი ხანია ვიმკით თითქმის ყველა დარგებში. ქვეყნის მართვა ძირითადად კანონს, თვითშეგნებას უნდა ეფუძნებოდეს. კანონიერების განმტკიცება, მუშა-ხელის დასაქმება, კვალიფიცირებული კადრები ქვეყანას გამოიყვანს არსებული კრიზისიდან და სხვა. გამოსავალი წარმოების დონის ამაღლებაში უნდა ვეძიოთ, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საშუალო ფენის დასაქმებას ახალი ტექნიკის ტექნოლოგიების დანერგვას და სხვა.

კონსოლიდაციის გამოვლენის ერთერთ ფორმად მიიჩნევა არჩევნების კანონის შესაბამისად ჩატარება. საარჩევნო სისტემა უნდა ემყარებოდეს პიროვნების, ღირებულებების გამოვლენას, რომ ღირსეულმა დაიკავოს შესაფერისი ადგილი. არავის უნდა მიეცეს უფლება რაიმე ზემოქმედება მოახდინოს საარჩევნო სისტემაზე, რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის აღმშენებლობაზე. უნდა აღმოიფხვრას ამომრჩეველთა დაინტერესება პრივილეგიების მოსაპოვებლად.

დღევანდელი საარჩევნო სისტემა ვერ პასუხობს სახელმწიფოს მმართვის მოთხოვნებს, რის შედეგადაც ხდება დაპირისპირება პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებას შორის და ა.შ. რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის აღმშენებლობაზე. მოტივი იმისა რომ, პარლამენტარი და მოხელე ვერ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს, სათავე ჩვენშია. სისტემა, რომელიც ორიენტირებულია წასვლა-მოსვლაზე თუ არ შეიცვალა ქვეყანა ვერ განვითარდება, რის შედეგს ვიმკით. მაინც საკითხავია რა არის ის პრობლემა, რომელიც ვერ წყდება გარდა პირადი დაინტერესებისა, რაც იწვევს ქვეყანაში აზრთა სხვაობას. მას ერთხელ და სამუდამოდ წერტილი უნდა დაესვას.

ძალთა კონსოლიდაცია, სახელმწიფოს მართვა უნდა მოხდეს პერიფერიიდან ცენტრისკენ და არა პირიქით. ე.ი. სახელმწიფო არ უნდა იმართებოდეს გარედან და სხვა რიგი საკითხები სრულყოფას მოითხოვს დემოკრატიის და ტექნიკური პროგრესის პირობებში მეტად რთულია სახელმწიფოს მართვა.

ამ მიზნით საჭიროა შეიქმნას უმაღლეს დამთავრებულ პირთა მომზადებისათვის სახელმწიფოს მმართვის მეცნიერებათა აკადემია. გამოსავალი ინტელექტუალურ შემოქმედებაში უნდა ვეძიოთ. მმართვის სისტემების ავტონომიებად დაყოფამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყნის აღმშენებლობაზე. აღნიშნული აკადემია მოახდენს სახელმწიფო მოხელის მომზადებას ქვეყნის ძირითადი პრიორიტეტების გათვალისწინებით. მათი წარდგენა უნდა ხდებოდეს რაიონული გამგეობის მიერ (ერთი ან ორი კანდიდატისა) მანამ სანამ არ შეიქმნება საზოგადოების მაკონსოლიდირებელი ორგანო. რაიონული მოსახლეობის წარდგენის შესაბამისად, რომელიც მისაღები გამოცდის ჩაბარების შემდეგ გახდება „კურსანტი“, რომლის არჩევა მოხდება დამთავრების შემდეგ იმავე რაიონში ან გაუთვალისწინებელ პირობებში სხვაგან და ა.შ. აკადემიამ უნდა უზრუნველყოს საარჩევნო სისტემის კორდინაცია ორგანიზაციული საკითხის გათვალისწინებით, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება საზოგადოების მაკონსოლიდირებელი ორგანოს წინაშე.

ასეთი ფორმით საკითხის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს მუდმივად გამოთანაბრებულად მომზადდეს კადრები, რომელიც ორიენტირებული იქნება ქვეყნის აღმშენებლობაზე. მინიმუმადე შემცირდება გარეშე პირთა ჩარევა. დღეს აღნიშნული პრობლემა მეტად მწვავედ დგას კაცობრიობის წინაშე.

როგორც ჩვენთან მთელს მსოფლიოში საარჩევნო სისტემა სრულყოფას მოითხოვს, რადგან ის ვერ პასუხობს მასზე დაკისრებულ მოთხოვნებს, რომ სახელმწიფო გამოიყვანოს კრიზისიდან. ნებისმიერი ფორმაციის პირობებში, უნდა შეუქმნას ნორმალური ცხოვრების პირობები. ნაცვლად მართვის სისტემების გაუმჯობესებისა ვღებულობთ პარტიებს შორის დაუმთავრებელ დაპირისპირებებს, რაზედაც იხარჯება დრო, ენერგია, სახსრები წლების განმავლობაში, რაც ქვეყნის აღმშენებლობაზე უარყოფითად აისახება. პარტიებში, უწყებებში, საზოგადოების ცალკეულ ფენებში, რომ მოხდეს ძალთა გადანაწილება ცენტრიდან პერიფერიისაკენ, ამ მიზნით საჭიროა უპირატესობა მიენიჭოს მათ შემოქმედებით საქმიანობას, სახელმწიფოს მართვის სათავეში მოვიდეს ღირსეული, რომ ხელი შეუწყოს ქვეყანაში შემოქმედებითი გარემოს შექმნას, და მართვას რომ ღირსეულმა დაიკავოს ღირსეული ადგილი და არა პირობითმა დაინტერესებულმა პირებმა.

- ყველა რაიონის მიხედვით პარლამეტის ფორმირებისთვის, ხუთ მილიონიანი მოსახლეობისთვის საკმარისი იქნება 200-250 დეპუტატი (ანუ სახელმწიფო მოხელე), რის შედეგად იქმნება საპარლამენტო და სამთავრობო „ფონდი“, - იმ შემთხვევაში, როდესაც დეპუტატობის კანდიდატი ამომრჩეველთა ხმების 50 პროცენტზე მეტს მიიღებს, უმრავლესობის პრინციპით ის არჩეული უნდა იქნეს დეპუტატად.
- იმ შემთხვევაში, როდესაც დეპუტატობის კანდიდატები მიიღებენ ხმათა 50 პროცენტზე ნაკლებს, არჩევნებში მათ შორის უნდა მოხდეს ურთიერთარჩევა ხმათა უმრავლესობის პრინციპით ან გათამაშებით;
- კანდიდატი პარლამენტის თავჯდომარის თანამდებობაზე არჩეული უნდა იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც ის მიიღებს ამომრჩევლების 50 პროცენტზე მეტ ხმას;
- იმ კანდიდატების არჩევა, რომლებიც ვერ მიიღებენ ხმათა 50 პროცენტს პარლამენტის თამჯდომარის თანამდებობის დასაკავებლად, უნდა მოხდეს პარლამენტის მიერ ხმათა უმრავლების პრინციპით;
- იმ შემთხვევაში, როდესაც ამომრჩეველი 50 პროცენტზე მეტ ხმას მისცემს პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდიდატის არჩევას, კანდიდატი ხმათა უმრავლების პრინციპით უნდა იქნეს არჩეულ პრეზიდენტად;
- იმ კანდიდატების არჩევა, რომლებიც ვერ მიიღებენ ხმათა 50 პროცენტს პრეზიდენტის თანამდებობის დასაკავებლად, უნდა მოხდეს პარლამენტის მიერ კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობის პრინციპით. საგანგებო სიტუაციაში პრეზიდენტის, პარლამენტის თანჯდომარის, პრემიერ-მინისტრის საარჩევნო ხარისხის ამაღლების მიზნით, „ელიტის“

მისაღებად არსებული 250-კაციანი პარლამენტის, ანუ სამთავრობო ფონიდან, უნდა მოხდეს 50 პროცენტის გადარჩევა, ე.ი. 125 კაციდან ისევ ხდება 63-ის არჩევა, რომლებიც თავის მხრივ აირჩევენ სამ კანდიდატს - პრეზიდენტს, პარლამენტის თავჯდომარეს და პრემიერ - მინისტრს. მათი შეუთანხმებლობის შემთხვევაში მოხდეს გათამაშების მიხედვით თანამდებობის დაკავება.

მეტად მნიშვნელოვნად გვესახება საარჩევნო ბიულეტინის ახალი ფორმის შემოღება, სადაც აღნიშნული იქნება დეპუტატობის, პარლამენტის თავჯდომარის და პრეზიდენტის კანდიდატის დასახელელება. ბიულეტენს ორივე მხარეს ექნება (იდენტური ნომერი) აღნიშნული ამომრჩევლის სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილი და თანამდებობის მაჩვენებლები. კანდიდატის არჩევისას ამომრჩეველი ბიულეტინის მარცხენა ნაწილს დაიტოვებს. დავის შემთხვევაში ის თავისი ნომრით დაამტკიცებს, თუ ვის მისცა ხმა.

„დიფერენციულ მიდგომას“ მოითხოვს პრემიერ-მინისტრის არჩევა. თავისი სპეციფიკურობისა და სირთულის მიხედვით, მასზე ბევრადაა დამოკიდებული სახელმწიფს მართვის საკითხი. მინისტრთა, ასევე მათი პირველი მოადგილეების მიერ უნდა მოხდეს პრემიერ-მინისტრის არჩევა. არჩევანში პრეზიდენტის ადმინისტრაციას ეძლევა 15 ხმა, პარლამენტის სპიკერატს, კომიტეტის თავმჯდომარეებს კი შესაბამისობის მიხედვით. პარლამენტს და პრეზიდენტის ადმინისტაციას გამონაკლის შემთხვევაში ეძლევათ პრემიერ-მინისტრის კანდიდატის წარდგენის უფლება.

დაუშვებელია პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, პიროვნებებს დაუწესდეთ ზღვარი არჩევნებში მონაწილეობის შესახებ. არჩევნები თავისთავად შერჩევა გადარჩევაა. მასზე ზღვარის დაწესება დაუშვებელია. ობიექტურად არჩევნების ჩატარების პირობებში სიმართლემ უნდა გაიმარჯვოს. ყველაფერი იქით უნდა იყოს მიმართული, რომ რაც შეიძლება მეტი აზრის გაერთიანებას მივაღწიოთ, ამავე სისტემით შეიძლება ავირჩიოთ რაიონის გამგებელი, მერი, მინისტრი და ა.შ.

საარჩევნო ვადა 5-6 წლით უნდა განისაზღვროს, რადგან დიდი დრო იხარჯება მმართველობის სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. ორგანიზაული საკითხების სრულყოფის მიზნით საპრეზიდენტო, საპარლამენტო თვითმმართველობის არჩევნები საჭიროა ჩატარდეს ერთ დღეს. გამოცხადდეს მნიშვნელოვან დღედ. ის დეპუტატი, რომელიც არ შეასრულებს თავის დანაპირებს 9 თვის განმავლობაში გაწვეული უნდა იქნეს ამომრჩევლების მიერ ხმათა უმრავლესობით თავისი ანგარიშის წარდგენის შესაბამისად. არსებული საარჩევნო სიტემის შეცვლა მოხსნის ბევრ ბარიერს, შეამცირებს უმიზნო დაპირისპირებებს და, რაც მთავარია, საზოგადოებაში შეიქმნა რწმენა, რომ ხალხს კანონის უზენაესობა მოუტანს სოციალურ-მატერიალურ სიკეთეს, აამაღლებს რწმენას, რაც უცვლელად უნდა ხდებოდეს კანონის დაფუძნებით.

არ შეიძლება დაპირისპირება შიმშიობის აქცია მიჩნეული იქნეს პირველად ამოსავალ წერტილად თავისი ფორმა-შინაარსით,რომელიც დაკავშირებულია ადამიანის სულიერ სოციალურ-მატერიალურ საკითხებთან. ამ შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს საკითხის რეფერენდუმზე გამოტანას მოსახლეობის 51%-ით მხარდაჭერის პირობებში მისი შესრულება უნდა დაეკისროს აღმასრულებელ სტრუქტურას (ადმინისტრაციას) 3 დღის შეუსრულებლობის შემდეგ აქციის ჩატარებისას მხარე ვალდებულია ზარალი აუნაზღაუროს შეუსრულებლობის გათვალისწინებით მეორე მხარეს. რომ თავიდან ავიცილოთ გაუთვალისწინებელი შედეგები. ყოველ ოთხ წელიწადში საქართველოს პირობებში საპრეზიდენტო, საპარლამენტო და თვითმმართველობის არჩევნებში 4 მილიონი ამომრჩევლის პირობებში თუ იხარჯება 108 მილიონი ლარი ანუ 45,2 მილიონი დოლარი მსოფლიო მოსახლეობის 7,3 მილიარდის პირობებში 5,2 მილიარდი ამომრჩევლის გათვალისწინებით დაიხარჯება მთლიანად 56,1 მილიარდი დოლარი. აღნიშნულ თანხაში არ შედის ის ხარჯები, რომელიც დაპირისპირებების შედეგად იქნა მიღებული ზარალი. აქვე გასათვალისწინებელია საარჩევნო ვადისა და ხარისხის გაუმჯობესების შედეგად მიღებული ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც საერთო ჯამში ეკონომიის სახით 1,3 მილიარდს აღემატება

მინიმალური გაანგარიშებით. დღეს მსოფლიოში არჩევნებზე და ომზე რაც თანხა იხარჯება იმ თანხის 5%-ი რომ ხმარდებოდეს ინტელექტუალურ შემოქმედებას სულ მცირე 50%-ით შემცირდებოდა დაავადებები, შიმშილი. საზოგადოება არ იქნებოდა ფენებად დაყოფილი და ა.შ.

აღნიშნული საკითხები დამუშავდა 2 მონოგრაფიის-(სამრეწველო მეცხოველეობის განვითარების საკითხები, სიახლეების დანერგვა წარმოების სრულყოფისა და ეფექტიანობის ასამაღლებლად), 25 გამოგონების, 2 აღმოჩენის გათვალისწინებით, რომელიც განხილული იქნა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების, უნივერსიტეტების, მეცნიერებათა აკადემიის, ცეესკოს, პოლიტიკური პარტიების აღმასრულებელი და საკანონმდებლო სტრუქტურების, საზღვარგარეთის სპეციალისტების მიერ სამეცნიერო კონფერენციების განხილვების გათვალისწინებით და სხვა.

რაც შეეხება ექსპერტიზის დასკვნის მოუცემლობას აღნიშნულ საკითხზე რამოდენიმეჯერ მივმართე შვედეთის, საქართველოს და ევროპარლამენტს, ალფრედ ნობელის სახელობის ფონდის ადმინისტრაციას, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ახალ თაობაში“ 29/07/2015 წ. ფონდის ადმინისტრაციის თანამშრომელს, ექსპერტს თვითონ რომ დაემზადებინა საცდელი ნიმუში და გამოეცადა ასევე თავისი წამლით რომ განეკურნა ავადმყოფი და ა.შ. მაშინ მათ არ მოუწევდათ შეხსენება ექსპერტიზის დასკვნის მოცემაზე. როგორც ჩვენი ასევე საზღვარგარეთის სპეციალისტები აღნიშნავენ რომ დამუშავებული პრობლემატიკა მეტად აქტუალურია მას ალტერნატივა არ გააჩნია ნობელის ინსტიტუტი 26/11/2012 წელს №38679/46 წერილით აღნიშნავს რომ ნაშრომზე შენიშვნა არ გააჩნიათ და მადლობელი არიან, მეტი რა უნდა მოვთხოვოთ ნაშრომს მწვადის შეწვას თუ იმღეროს შვედურად? მსოფლიოს საზოგადოებას ვთხოვ, რომ დავიცვა ჩემი უფლებები თქვენი სახელით, მიზანშეწონილად მიმაჩნია მხარესთან მონაწილეობით აღნიშნული საკითხი რომ გადაიცეს ღია ეთერით სამუდამოდ განხილვა რომ იყოს გამჭირვალე ყველასათვის. დაუშვებელია რაიმე შეზღუდვების დაწესება ინტელექტუალურ შემოქმედებაში საერთაშორისო დეკლარაციების გათვალისწინებით შვედეთის კონსტიტუციით არ იკრძალება ინფორმაციის

მოწოდება. ფონდის წინაშე დაისვა საკითხი ექსპერტიზა ჩაუტარდეს 1.მედიცინაში, 2.ბიოლოგიაში, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, 3.ეკონომიკა, რეგიონალური მართვის - კონცეფცია საკითხებში 10 წლის მიხედვით. რა განხილვაზეა ლაპარაკი, როდესაც კვლევის შედეგები რეალიზებაშია წლების განმავლობაში. მსოფლიოს საზოგადოებას ვთხოვ თქვენი სახელით რომ დავიცვა ჩემი უფლებები, მიზანშეწონილად მიმაჩნია მხარესთან მონაწილეობით აღნიშნული საკითხი რომ გადაიცეს ღია ეთერით, ყველასთვის განხილვა გახდეს გამჭირვალე სამუდამოდ. საკითხი შეეხება კაცობრიობის წინაშე საუკუნის პრობლეემების კომპლექსურად გადაწყვეტის ახალ მიმართულებებს დარგთან შეთანაწყობით.

ფონდის დებულების შესაბამისად საპრემიოდ წარდგენილ ნაშრომზე ტარდება ექსპერტიზა, რომლის შესაბამისად უნდა გაეცათ ექსპერტიზის დასკვნა თუ არ არსებობს ალტერნატივა. მხარეებს შორის წინასწარ რაიმე შეთანხმება არ არსებობდა დასკვნის მოუცემლობაზე (დებულების შესაბამისად), როგორც განვაცხადე, ზემო აღნიშნულ სიახლეებს არ გადავცემ დასანერგად წარმოებას სერიაში, რის შედეგად სახელმწიფო (რეგიონები) მილიონობით ზარალობს.

ბუნებრივია ფონდს მოუწევს ძველი ლექსის წაკითხვა.

**გამოგონების ფორმულა**

კაცობრიობის წინაშე
უსამართლობის დასასრულს
კიდევ დიდი დრო სჭირდება?
ნობელის ფონდი შვედეთში
რომ ხალხმა გაასამართლოს.
**20/11/2013 წ**

**თუ გულით ნაჩუქარია**

სახელად ჯილდო კარგია
ოქროა ის თუ ვერცხლია.
თხილი თუ გულით ნაჩუქარია
ბაჯაღლო ოქროს სჯობია.

**ჯიხვის ყანწით ვადღეგრძელოთ**

ყველამ  მადლი შემაწევნეთ,
გავაცოცხლოთ მწვერვალს მდგომი,
კვლავ შეისვას ფეხზე დგომით,
ჯიხვის ყანწით სადღეგრძელო.
საქართველოს აჩრდილი ხარ,
მზის და მთვარის გვერდით მდგომი,
სიკეთის და სიბრძნის ენით,
შენ აცოცხლე ჩვენი ერი.
ყველას ერთი სურვილი გვაქვს,
რომ ვტკბებოდეთ მყინვარწვერით,
კოლხეთს, ციტრუს, იას  ვკრეფდეთ,
ყველას მეტად რაც გვჭირდება.
იცვლებოდეს ცოდვა-მადლით,
განა ძალით,ხმლით და ბომბით,
მშვიდობის დღე თენდებოდეს-
უხილავი სიყვარულით,
რითაც ხარობს ყველა ერი.
„ხამს მოყვარე მოყვრისათვის,
თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის,
სიყვარული გზად და ხიდად“.
მიღწვიან, მომიგონებენ,
დამლოცვენ, მოვეგონები.
მეტი რა გვეთქმის ბრძენ კაცზე
ის არის ჩვენი მემატიანე,
მის სიბრძნეს ვითვლით რვა საუკუნე
სიბრძნის ძალით უძლეველო,
შენ ეკუთვნი საქართველოს,
შენით ვითვლით საუკუნეს,
მილიონი დაგებედოს.

კონკურსის
რგებში მის
მთავრობამ,

**შენიშვნა:** ნაშრომში არ იყო შეტანილი სახელმწიფოს მართვის სრულყოფის საკითხები, რომელიც დაემატა ექსპრესს ბიულეტენს №56 დამუშავების პერიოდში. საავტორო უფლებების მოთხოვნით დაუშვებელია ავტორის შეთანხმების გარეშე სარგებლობის მიზნით აღნიშნული საკითხების გამოყენება. ზემოაღნიშნული დაავადებების მეთოდიკა ექსტრაქტების მიღება-გადამუშავება, გამოყენება, საცდელი ნიმუშების დამზადება, გამოცდა მოახდინა ავტორმა.მსოფლიოს საზოგადოებას ავტორი თხოვნით მოგმართავთ, ზემოაღნიშნულ საკითხთან  დაკავშირებით თქვენს დამოკიდებულებაზე გვაცნობოთ. რიგი საკითხები გამოქვეყნებას არ ექვემდებარება.

**დასკვნითი ნაწილი:**

საკითხის შეფასება ე.ი. დასკვნა ეძლევა შესრულებულ სამუშაოს სიახლეს, რომელიც გამოყენებაშია საზოგადოებაში მას ალტერნატივა არ გააჩნია, ფონდს საკონკურსო მოთხოვნების მორალური და სამართლებრივი პირობები არ შეუსრულებია ნაშრომზე დასკვნის მოუცემლობით, რაც კაცობრიობის წინაშე მის ტენდენციურ დამოკიდებულებაზე მიუთითებს. რადგან კონკურსის ჩატარების მოთხოვნების შესაბამისად ნაშრომზეშეფასება არ მიუციათ, რაც დღემდე შეუფასებლად ითვლება მაშინ როდესაც საკითხი შეეხება კაცობრიობის წინაშე საუკუნის პრობლემების კომპლექსურად გადაწყვეტის ახალ მიმართულებებს დარგთა სწორ შეთანაწყობას. დაუშვებელია ინტელექტუალურ შემოქმედებაში რაიმე შეზღუდვების დაწესება, როდესაც ის დაკავშირებულია კაცობრიობის წინაშე მეტად აქტუალური საკითხების რეალიზაციასთან.

აზრი გამოთქვეს დანერგვის სამეცნიერო ცენტრის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო ნაწილში საინციატივო მხარდამჭერთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა ნ. მუმლაძემ, რომ ტექნიკური პროგრესის პირობებში მეტად

მნიშვნელოვანია აღნიშნული სიახლეების დანერგვა ნებისმიერი ბუნებრივი რესურსების ათვისების მიზნით. პრობლემატიკა მოიცავს:

1. თერმიული გადამუშავების გარეშე საკვები და სამკურნალო ექსტრაქტების მიღების ტექნოლოგია გამოიყენება ადამიანის რთული დაავადებების სამკურნალოდ და ვეტერინარიაში პირუტყვის სამკურნალოდ. საკვები ექსტრაქტები კი გამოიყენება ადამიანის საკვებად და მეცხოველეობაში პირუტყვის საკვებად ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციით კვება ჯანმრთელობის საწინდარია, რომლებიც ერთმანეთს განაპირობებენ, მითუემეტეს როდესაც ექსტრაქტში და ადამიანში შემავალი შემადგენლობები 60-65%-ით ერთმანეთს ემთხვევა, რაც მეტად მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს მედიცინაში და ბიოლოგიაში.

2. ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, კვების პროდუქციის წარმოება, გადამუშავება, შენახვა- მაწვნისა და ყველის მიღების გათვალისწინებით და სხვა განაპირობებს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდას.

3. მრეწველობისა და ეკონომიკის საკითხების სრულყოფა მეტად მნიშვნელოვანია მატერიალური და შრომითი დანახარჯების შესამცირებლად სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის დონის ასამაღლებლად დარგთა სწორი შეთანაწყობისთვის, მუშა ხელის დასაქმებისა და ინფრასტრუქტურის, სოციალურ საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

4. ახალი პროდუქციის მიღების პირობებში მინიმუმამდეა დაყვანილი ენერგო რესურსების გამოყენების საკითხები, რაც გარკვეულ გავლენას ახდენს ეკოლოგიისა და გლობალიზაციის საკითხებზე მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და წარმოების მართვის საკითხების სრულყოფა - კონცეფცია ნორმალური, მშვიდობიანი თანაარსებობის შესანარჩუნებლად ქვეყნებს შორის კაცობრიობისათვის. კაცობრიობის წინაშე პრობლემების გადაწყვეტის და ახალ რელსებზე მისი გადაყვანის საკითხები მეტად მნიშვნელოვანია თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით, რასაც ალტერნატივა არ გააჩნია. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე დამუშავებული პრობლემატიკა - თემატიკა თავისი ფორმა შინაარსით ასახავს კაცობრიობის წინაშე მეტად მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობებს. ნაშრომის ავტორი აკადემიკოსი ლ. ჩაჩიბაია იმსახურებს ალფრედ ნობელის სახელობის პრემიის მინიჭებას, რაზედაც ეთხოვოს ფონდის ადმინისტრაციას.

**დაადგინეს: სამეცნიერო ნაშრომის წიგნის „სიახლეების დანერგვა“ წარმოების სრულყოფისა და ეფექტიანობის ასამაღლებლად“ ავტორს აკადემიკოს ლერი ჩაჩიბაიას მიენიჭოს ალფრედ ნობელის სახელობის პრემია.**

**ტექნიკის, ტექნოლოგიის,ეკონომიკის, სამართლის საექსპერტო საბჭოს თავჯდომარე. აკადემიკოსი ნ. მუმლაძე**

# გზა მშვიდობისა

სანატრელია ის დღე ყველასთვის,
როდესაც დილით მიზანს მიჰყვები.
მიზანი განა ყველა ერთია,
ერთია მხოლოდ მშიდობისათვის.
ვინ უნდა იყოს და რა ეწოდოს?
ბირთვული ომი რომ უხაროდეს,
შავით შემოსო მშობელი დედა,
სიმწრით შეცვალო მისი იმედი.
დაფიქსირებულხარ შენი ქმედებით?
სიცოცხლეს რომ სპობ ბოროტებისთვის,
სად უნდა ვპოვოთ ჩვენ განსხვავება,
მხეცში, თუ ასეთ ადამიანში?
ეს ცხოვრება გაუგიათ,
თითქოს ტყემლის ნაყოფია,
მისი მზე და მისი მთვარე
მისთვის ვინმეს მიუცია?
გავიხსენოთ, ბრძენს რაც უთქვამს:
„ვინ არის იგი ხელმწიფე,
რა პატრონია ჩვენზედა".
რაც ბოროტება ტრიალებს
ზომა-წონის, ეტალონით,
დღემდის ვინმეს დაუთვლია?
რა ეწოდოს ამის ავტორს,
მხეცს რეფლექსი აღარ ჰყოფნის!
ცვალებადია ეს ფორმაცია,
მხოლოდ მშვიდობა რჩება უცვლელი.
სიყვარულს, ძმობას, ერთობას,
რწმენას, მადლსა და სიკეთეს -
ის რაც შემოგრჩა აქამდის,
ჩვენი ცხოვრების ბაზისი,
წინ უძღვის კაცობრიობას.
მშიდობა იყოს ყოველთვის
მომტანი ბედნიერების.
ერთ დიდ ტაბლის ორი მხარე
მზის ამოსვლას შეჰხაროდეს.
სიტყვა ომი ამოვიღოთ,
რომ მშვიდობა ჩავანაცვლოთ.

ვინც ომზე ფიქრობს, კაცს ნუ დაარქმევთ,
ბოროტ არსებად უნდა შევრაცხოთ.
რა საუკუნე დაგვიდგა.
მსოფლიო უმართავია,
უმოწყალობით კაცს კლავენ,
განა ეს სამართალია?
სამართლის ენით რომ ითქვას,
რეფორმა დასაწყისშია.
ვის მოეთხოვოს პასუხი,
ყველა ჩვენგანის ვალია,
ომის მიზეზი  არ დასრულდება,
ყველა ჩვენგანის ვალია,
ომის მიზეზი არ დასრულდება,
ყველა მართლებად მოგვევლინება,
ომის დამწყები თუ არ დასაჯეს,
ცხელი წერტილი ყველგან იქნება.
კუნძულზე ვდგევარ და ვუმზერ აწმყოს
და იფურცლება წარსული ჩვენი,
ვინც შეეწირა დღევანდელ დღისთვის
სათქმელად მაინც მასზე ვჩერდები.
ვინ დააშავა ნეტავ ამდენი?
ცრემლებზე დგომა რატომ და რისთვის?
დილის რიჟრაჟზე ახალშობილი
მოევლინება ლოცვა-კურთხევით.
რაც მან მიიღო, ის უნდა გასცეს
მხოლოდ მშვიდობით და არა ომით.
დრო არის ამდენ განსაცდელს ვძლიოთ,
ერთიანობის დროშის ქვეშ ვიყოთ,
გზა გავუნათოთ კაცობრიობას,
ომის დამწყებლებს მშვიდობით ვსძლიოთ.
„ბრიყვს" რომ ორი კოკა მისცეს,
ცემით, სისხლი  დაადინეს,
შემოსძახა, რას მიშვებით,
უმოწყალოდ ასე რად მცემთ?
ახლა თუ არ გაუფრთხილდი-
კოკის მიტრყმას გადაყვები.
მისთვის გაჩნდი ამ ქვეყანას

სხვისი ცრემლები რომ გააცილო,
განა რა უნდა იყოს ისეთი
ომის გარეშე რომ არ წყდებოდეს?
ცა, დედამიწა, რწმენა, მშვიდობა,
გზა, მომავალი ყველა ერთია,
ყველგან ყოველთვის უნდა დავიცვათ
მემკვიდრეობით ჩვენი ვალია.
ამ ლექსში არის რაც მეტად ფასობს,
მოვლა, შენახვა აღარ სჭირდება,
ის შენ გიყიდის, მას ვერ იყიდი,
ძვირფასი არის ყველაზე მეტად.
რამდენს იტევს ეს ქვეყანა
სიკეთეს და ბოროტებას?
ყველას ერთად თუ ავწონით
ბოლო მაინც კეთილია.
რა გიკვირთ, რაც რო ტრიალებს,
უნდა ვთქვათ ვიყოთ მართლები,
რასაც ბიბლია ვერ იტევს
ცოდვილი დავიარებით.
ეს რწმენა ბიბლია გადმოგვცა
ამ რწმენამ  ჯვარს აცვა უფალი.
უნდა ვიაროთ სწორი გზით,
რომ აღარ გავხდეთ ცოდვილი.
მშვიდობა იყოს ყოველთვის,
ჩაუქრობელი ლამპარი,
წინ უძღვის კაცობრიობას
დამცველი როგორც ფარ-ხმალი.
სამ დღეს ინახავს ეს დედამიწა,
რაც გააკეთე და არ გითქვია ,
გულით გვინახას ჩვენ საქართველო,
ოდესმე სიტყვა მას დასცდენია.
ერთი ნატვრა მაქვს შენ ამისრულე,
რომ მომავალი აწმყოსა სჯობდეს,-
ხარობდე ისე, რომ შენი ფუძე
საუკუნეში აკვანს არწევდეს!

პატივისცემით, აკადემიკოსი  ლ. ჩაჩიბაია
გამომცემლობა აკადემიის მთავარი რედაქტორი, აკადემიკოსი - ლ. ჩაჩიბაია
გამოცემის რედაქტორი, აკადემიკოსი - ნ. მუმლაძე. რედაქტორი - ს. ზადიკაშვილი. ცენტრის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, ტექნიკის, ტექნოლოგიის, ეკონომიკის, სამართლის, საექსპეტრო საბჭოს თავჯდომარე - აკადემიკოსი ნ. მუმლაძე. შეკვეთა 56. ტირაჟი 200 ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენაზე. ფასი სახელშეკრულებო, გამოიცა გამომცემლობა „აკადემიის" მიერ.
9.03.16 წ. თბილისი 0167, გლდანი მე8 მ/რ, 9 კორპ. მობილური: 558 66 03 51; 555 47 33 36
E-mail: leri_chachibaia@mail.ru Facebook: Leri_Qartuli Siaxlebi Chachibaia